

**Silk LTE 4G ოფისისთვის (უსადენო ინტერნეტ მომსახურება) მომსახურების სატარიფო გეგმა**  
**(ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით)**

დანართის ტიპი

 სტანდარტული პირობები - 

 არასტანდარტული პირობები - 

თარიღი \_\_\_\_\_

N	მომსახურების მიწოდების მისამართი	სააბონენტო ანგარიშის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სერვისის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1			

ძირითადი სააბონენტო პაკეტები	Silver <input type="checkbox"/>	Platinum <input type="checkbox"/>
სააბონენტო გადასახდელი	<b>28 ლარი</b>	<b>38 ლარი</b>
სიჩქარე (ჩამოტვირთვა/ატვირთვა)	15მბ/წმ-მდე / 5მბ/წმ-მდე	50მბ/წმ-მდე / 5მბ/წმ-მდე
დაყოვნება (მილიწამი)	<400	<400
მოცულობა (სტანდარტული პაკეტის ფარგლებში)	30 გბ	50 გბ
მოცულობა (აქციის პირობებით) **	80 გბ	100 გბ
სიჩქარე მოცულობის ამოწურვის შემდეგ (ჩამოტვირთვა/ატვირთვა)	1მბ/წმ-მდე/256 კბ/წმ-მდე	2მბ/წმ-მდე/256 კბ/წმ-მდე
სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადა	30 დღე	
დამატებითი 10 გბ სააბონენტო პაკეტი	5 ლარი	
LTE WiFi მოწყობილობის შემთხვევაში მომსახურების აქტივაციისას ერთჯერადად გადასახდელი საფასური, რომელიც მოიცავს LTE WiFi მოწყობილობის დაკონფიგურირების ღირებულებას, SIM ბარათის აქტივაციის ღირებულებას და პაკეტი "Silver"-ის ღირებულებას	58 ლარი	

LTE WiFi მოწყობილობის შემთხვევაში მომსახურების აქტივაციისას ერთჯერადად გადასახდელი საფასური, რომელიც მოიცავს LTE WiFi მოწყობილობის დაკონფიგურირების ღირებულებას, SIM ბარათის აქტივაციის ღირებულებას და პაკეტი "Platinum"-ის ღირებულებას)	68 ლარი
LTE WiFi მოწყობილობის დაკონფიგურირების ღირებულება	25 ლარი
<b>ტექნიკური მხარდაჭერის საფასური</b>	
ტექნიკური ჯგუფის მომსახურების საფასური	20 ლარი
მომსახურების დამატებითი საფასური ყოველ 1 მეტრ ქსელის კაბელზე	0.80
<b>აქტივაციის დამატებითი ხარჯები</b>	
SIM ბარათის აღდგენა/ხელახალი აქტივაცია	5 ლარი
მომსახურების ხელახალი აქტივაციის (აღდგენის) საფასური	10 ლარი
მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური საფასური	4 ლარი
LTE WiFi მოწყობილობის საფასური, რომელიც აბონენტს დაერიცხება მისი დაზიანებისას, განადგურებისას ან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო დაუბრუნებლობისას	99 ლარი

**მომსახურების საფასურის გადახდის, მომსახურების აქტივაციის, შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები**

1. „Silk LTE 4G ოფისისთვის“ მომსახურების მისაღებად მოქმედებს წინასწარი გადახდის სისტემა. აბონენტი იხდის მის მიერ წინასწარ შერჩეული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის სრულ ღირებულებას. მომსახურების საფასურის წინასწარი გადახდით აბონენტი ახდენს ინტერნეტ სააბონენტო პაკეტით გათვალისწინებული მოცულობის გბტ-ს წინასწარ შეძენას. შესაბამისად, ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის ღირებულების სააბონენტო ანგარიშიდან ჩამოჭრა ხდება ერთჯერადად, სააბონენტო პაკეტის გააქტიურებისთანავე;
2. ერთ აბონენტს შეუძლია არაუმეტეს 5 "Silk LTE 4G ოფისისთვის" მომსახურების მიღება;
3. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს „Silk LTE 4G ოფისისთვის“ და „Silk LTE 4G VOIP“ მომსახურებებით, სააბონენტო ანგარიშზე არსებული თანხიდან პირველ რიგში იფარება „Silk LTE 4G VOIP“ მომსახურების საფასური.

4. თუ აბონენტი ვერ მოახდენს LTE WiFi მოწყობილობის დამოუკიდებლად ინსტალაციის, მას შეუძლია ისარგებლოს ტექნიკური ჯგუფის ადგილზე მომსახურებით, ტექნიკური ჯგუფის მომსახურების საფასურის გადახდის პირობით;
5. ტექნიკური ჯგუფის მომსახურების საფასურის დარიცხვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ჯგუფი წარმატებით უზრუნველყოფს მომსახურებას.
6. ტექნიკური ჯგუფის მომსახურების საფასურის დარიცხვა აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე მოხდება ვიზიტის დღესვე და გაიხარჯება ანგარიშზე არსებული დადებითი ბალანსიდან. ვიზიტის დღეს სააბონენტო ანგარიშზე საკმარისი დადებითი ბალანსის არარსებობის შემთხვევაში, აბონენტს შეეზღუდება ამავე ანგარიშზე არსებული „Silk LTE 4G VOIP“ სატელეფონო მომსახურება (ასეთის არსებობისას) და მისი აღდგენა შესაძლებელი იქნება დავალიანების დაფარვის შემთხვევაში. ასეთი დავალიანების ანგარიშიდან გახარჯვა მოხდება აბონენტის მიერ ტექნიკური მომსახურების მიღების შემდეგ ანგარიშზე შეტანილი ნებისმიერი (მათ შორის ახალი პაკეტის აქტივაციის მიზნით) თანხიდან, საიდანაც მიუხედავად გადახდის მიზნობრიობისა, პირველ რიგში დაიფარება ტექნიკური ჯგუფის მომსახურების საფასური.
7. აბონენტს შესაძლებლობა აქვს გააქტიუროს "ძირითადი" და "დამატებითი" ინტერნეტ-პაკეტები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად.
8. სატარიფო გეგმაში მითითებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტებიდან აბონენტისთვის ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის "ძირითადია" ის ინტერნეტ-პაკეტი, რომელიც ყოველი კონკრეტული მომენტისთვის აბონენტს არჩეული/გააქტიურებული აქვს ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე ან შემდგომ, უკანასკნელი დისტანციური გააქტიურებით ან სერვისცენტრში უკანასკნელი მიმართვის/შეცვლის გზით.
9. ინტერნეტ სააბონენტო პაკეტში შემავალი მოცულობის გბტ-ების გამოყენება აბონენტს შეუძლია კონკრეტული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში;
10. ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ, მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის ღირებულების შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გააქტიურდება ახალი ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტი;
11. ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ, მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის შეძენისათვის არასაკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, მომსახურების ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტი ავტომატურად გააქტიურდება მომსახურების ანგარიშზე ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის ღირებულების ოდენობით, სააბონენტო ანგარიშის დადებითი ბალანსის შევსებისას;
12. ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვამდე მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის ღირებულების შესაბამისი თანხის შეტანის შემთხვევაში, აბონენტს ახალი ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტი ავტომატურად გაუაქტიურდება აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ;
13. ძირითადი აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე აბონენტს შეუძლია იგივე მოცულობის ახალი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურება (საკმარისი დადებითი ბალანსის არსებობისას) ან ნებისმიერი მოცულობის განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის არჩევა (ცვლილება) და გააქტიურება, მიუხედავად იმისა, გახარჯა თუ არა აბონენტმა უკვე გააქტიურებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოცულობა. ამისთვის აბონენტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით უნდა დააფიქსიროს მოთხოვნა იმავე ან განსხვავებულ ინტერნეტ სააბონენტო პაკეტზე; განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოთხოვნის დაფიქსირებით "ძირითადი პაკეტის" სტატუსი ავტომატურად მიენიჭება ახლადარჩეულ ინტერნეტ სააბონენტო პაკეტს, მიუხედავად იმისა, აბონენტმა გააქტიურა თუ არა არჩეული პაკეტი.
14. ძირითადი აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის არჩევისას, ანგარიშზე არასაკმარისი დადებითი ბალანსის არსებობისას: ძირითადი აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ანგარიშის შევსებისას განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურება მოხდება მოთხოვნის ხელახალი დაფიქსირებით, ხოლო ძირითადი აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ანგარიშის შევსებისას - განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურება მოხდება ავტომატურად;
15. ძირითადი აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე იგივე მოცულობის ან განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებისას აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოცულობას დაემატება ახალი და გამოყენების ვადა განახლებდა ახალი/შეცვლილი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადით.

16. ძირითადი აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე განსხვავებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურებისას აბონენტს დაჯამებული მოცულობა მიეწოდება ახლადარჩეული (შევვლილი) ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის სიჩქარის შესაბამისად;
17. აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, პაკეტში შემავალი მოცულობის ამოწურვის შემთხვევაში სიჩქარე მცირდება: Silver პაკეტის შემთხვევაში 1მბ/წ-მდე / 256კბ/წმ-მდე (ჩამოტვირთვა/ატვირთვა), ხოლო Platinum პაკეტის შემთხვევაში - 2მბ/წ-მდე / 256კბ/წმ-მდე (ჩამოტვირთვა/ატვირთვა). აღნიშნული სიჩქარით აბონენტს ინტერნეტ მომსახურება მიეწოდება ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის ვადის ამოწურვამდე;
18. აქტიური ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების პერიოდში, ამავე ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადით, აბონენტს შეუძლია გაიაქტიუროს "დამატებითი 10 გბ" სააბონენტო პაკეტი (შეუზღუდავი ოდენობით), "დამატებითი 10 გბ" სააბონენტო პაკეტის მიწოდება მოხდება დამატებითი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის გააქტიურების მომენტისთვის აქტიური ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის სიჩქარით;
19. აბონენტს შეუძლია ნებისმიერი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის აქტივაცია ნებისმიერ დროს, ნომერზე: 91800 - SMS-ის გაგზავნით (აბონენტის მიერ რეგისტრაციისას ან რეგისტრაციის შემდგომ, ყველაზე გვიან დაფიქსირებული მობილური საკონტაქტო ნომრიდან) ან კომპანიის სერვის ცენტრში/კორპორატიული გაყიდვების ოფისში წერილობით განაცხადის წარდგენით.
20. Silk LTE 4G ინტერნეტ მომსახურება იზღუდება წინასწარ შეძენილი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოცულობის გახარჯვისთანავე/პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე 60 (სამოცი) დღით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც Silk LTE 4G ინტერნეტ მომსახურების ანგარიშზე ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოცულობის/მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისთვის იარსებებს ახალი ძირითადი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის შეძენისთვის საკმარისი დადებითი ბალანსი, რაც გამოიწვევს ახალი ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის ავტომატურ გააქტიურებას.
21. Silk LTE 4G ინტერნეტ მომსახურება (ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მხოლოდ Silk LTE 4G ინტერნეტ მომსახურება) წყდება ბოლოს გააქტიურებული ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 60 (სამოცი) დღის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აბონენტი არ გაიაქტიურებს ახალ ინტერნეტ სააბონენტო პაკეტს (მხედველობაში არ მიიღება ძირითადი პაკეტის მოქმედების პერიოდში გააქტიურებული "დამატებითი 10 გბ" სააბონენტო პაკეტი);
22. აბონენტის ინიციატივით Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების (და შესაბამისად ხელშეკრულების) შეწყვეტა შესაძლებელია სერვის-ცენტრში მიმართვის, დავალიანების დაფარვის (ასეთის არსებობისას) და ტექნიკური საშუალების დაბრუნების გზით. ხელშეკრულების /მომსახურების შეწყვეტის დღესვე, ტექნიკური საშუალების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აბონენტს დაერიცხება ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება. შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში მოწყობილობის დაბრუნების შემთხვევაში აბონენტს აღნიშნული თანხა დაუბრუნდება.
23. Silk LTE 4G მომსახურების საგარანტიო ვადა შეადგენს 10 (ათი) კალენდარულ დღეს. აბონენტს აქვს უფლება აქტივაციიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში უარი თქვას მომსახურებაზე, მოწყობილობის გამართულ მდგომარეობაში დაბრუნების პირობით. საგარანტიო ვადის განმავლობაში მომსახურებისა და მოწყობილობით სარგებლობის საფასური განისაზღვრება 10 (ათი) ლარით. საგარანტიო ვადაში მომსახურების გაუქმებისას აბონენტს სრულად უბრუნდება აქტივაციისას გადახდილი მომსახურების საფასური 10 (ათი) ლარის გამოკლებით;
24. თუ აბონენტი მოწყობილობას შეიძენს სერვის-ცენტრში და შეძენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დარეგისტრირდება ტექნიკური ჯგუფის მომსახურებაზე, საგარანტიო ვადის ათვლა მოხდება ტექნიკური ჯგუფის მომსახურების დასრულების დღიდან.
25. საგარანტიო პირობა (10 (ათი) კალენდარულ დღეში თანხის დაბრუნებით) მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ვადის განმავლობაში აბონენტი დააბრუნებს ტექნიკური საშუალებას გამართულ (მუშა) მდგომარეობაში ან თუ დაბრუნებულ ტექნიკურ საშუალებას აღმოაჩნდება ქარხნული წუნი.
26. დროებით სარგებლობაში გადაცემული LTE WiFi მოწყობილობის განადგურების ან დაკარგვისას, ან ისეთი დაზიანებისას, რაც არ არის გამოწვეული ქარხნული წუნით, ტექნიკური საშუალების შეცვლა არ მოხდება და აბონენტს დაერიცხება LTE WiFi მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება, ხოლო მომსახურების კვლავ მიღების სურვილის შემთხვევაში, ასევე დაერიცხება ახლად გადაცემული ტექნიკური საშუალების დაკონფიგურირების ღირებულება.
27. დროებით სარგებლობაში გადაცემული LTE WiFi მოწყობილობის ქარხნული წუნის შემთხვევაში, თუ კომპანიის ტექნიკური სამსახურის მიერ ტექნიკური საშუალების შემოწმებისას ტექნიკური დასკვნის საფუძველზე

- დადგინდება, რომ დაზიანება/გაუმართაობის მიზეზი არის ქარხნული წუნი, კომპანიის ტექნიკური სერვის ცენტრი უზრუნველყოფს LTE WiFi მოწყობილობის შეცვლას, ტექნიკური საშუალების სარეალობაციო ღირებულების დარიცხვის გარეშე.
28. დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალების შეცვლის პირობა მოქმედებს უფალოდ. ამასთან, ყოველი შეცვლისას აბონენტს გადაეცემა იმავე სახის ტექნიკური მხარდაჭერის მქონე მოწყობილობა, რა სახის მოწყობილობაც მიიღო "Silk LTE 4G ოფისისთვის" მომსახურებაში პირველადი ჩართვისას. Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურების დამატების შემთხვევაში, სათანადო ტექნიკური მხარდაჭერის არქონისას, აბონენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური საშუალება კომპანიის სერვის ცენტრში, სადაც მოხდება შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა (მოწყობილობის გაწერა).
  29. აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალებ(ებ)ის დანიშნულებისამებრ გამოყენება, ასევე ვალდებულია გამოყენებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნები.
  30. მომსახურების დროებით შეჩერება (დაპაუზება) შესაძლებელია სერვის ცენტრში მიმართვით;
  31. დროებით შეჩერების (დაპაუზების) მაქსიმალური პერიოდი შეადგენს არასრულს 12 თვეს (მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) დღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 11 (თერთმეტი) თვე);
  32. მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) ვადის ამოწურვის შემდეგ (თუ მანამდე არ მოხდა აბონენტის მიერ დროებით შეჩერების (დაპაუზების) გაუქმება), მოხდება დროებით შეჩერების (დაპაუზების) ავტომატურად გაუქმება და ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის აქტივაცია. იმ შემთხვევაში თუ შესაბამის ანგარიშზე არ არის სააბონენტო პაკეტის შეძენისთვის საკმარისი თანხა, მომსახურება გადავა შეზღუდვის რეჟიმში, იმის მსგავსად თუ რომელ რეჟიმში გადავიდოდა ორმხრივად ჩართული მომსახურება სააბონენტო პაკეტის ღირებულების არ გადახდისას (სტანდარტული პირობებით);
  33. მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) მოთხოვნის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც აქტიური (ჩართული) მომსახურების, ასევე შეზღუდული მომსახურების არსებობისას; იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი მოითხოვს აქტიური (ჩართული) მომსახურების დროებით შეჩერებას (დაპაუზებას), მომსახურების დროებით შეჩერება მოხდეს ინტერნეტ პაკეტის ვადის ამოწურვისთანავე; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი მოითხოვს შეზღუდული მომსახურების დროებით შეჩერებას (დაპაუზებას), მომსახურების დროებით შეჩერება (დაპაუზება) მოხდება დროებით შეჩერების მოთხოვნისთანავე;
  34. მომსახურების დროებით შეჩერებისთვის (დაპაუზებისთვის) აბონენტს მომსახურების შესაბამის სააბონენტო ანგარიშის ნომერზე უნდა ერიცხებოდეს დადებითი ბალანსი არანაკლებ დროებით შეჩერების (დაპაუზების) ერთი თვის საფასურის ოდენობით; ასევე, მომდევნო თვეების (პერიოდის, როდესაც მომსახურება არის დროებით შეჩერებული) განმავლობაში დროებით შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური საფასურის გადახდა უნდა მოხდეს წინასწარ, ანგარიშზე დადებითი ბალანსის შევსებით;
  35. დროებით შეჩერებული (დაპაუზებული) მომსახურების ჩართვა (დროებით შეჩერების გაუქმება) მოხდება ინტერნეტ სააბონენტო პაკეტის შეძენის გზით (იმისათვის რომ ჩაერთოს დროებით შეჩერებული (დაპაუზებული) ინტერნეტ მომსახურება, აბონენტმა უნდა შეიძინოს ინტერნეტ სააბონენტო პაკეტი);
  36. დროებით შეჩერების (დაპაუზების) რაოდენობა კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს ერთს;
  37. დროებითი შეჩერებული (დაპაუზებული) მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე დადებითი ბალანსის ამოწურვის შემთხვევაში შეწყდება დროებით შეჩერება (დაპაუზება) და მომსახურებები გადავა შეზღუდვის რეჟიმში, იმის მსგავსად, თუ რომელ რეჟიმში გადავიდოდა ორმხრივად ჩართული მომსახურებები, მომსახურების ყოველთვიური საფასურის გადაუხდელობისას (სტანდარტული პირობებით);
  38. მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) საფასურის გადაუხდელობის გამო შეზღუდულ მომსახურებებზე შესაბამისი დადებითი ბალანსის არსებობის შემთხვევაში, მომსახურება გააქტიურდება ორმხრივად;

#### შენიშვნა:

- LTE WiFi მოწყობილობა გადადის აბონენტის დროებით სარგებლობაში;
- აქციის პირობებით („მეტი ინტერნეტ-მოცულობა“) პაკეტის აქტივაციის პერიოდი – 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.



დამტკიცებულია სს „სილქნეტი“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N01/26 ბრძანებით

მომსახურების საფასურის გადახდის, მომსახურების აქტივაციის, შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის არასტანდარტული პირობები:

1.

კომპანია

---

აბონენტი

---